

სტანდარტული პირობები

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1.1. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება - კომპანიასა და კლიენტს შორის დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს სტანდარტული პირობები;
 - 1.1.2. კანონმდებლობა - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა;
 - 1.1.3. კლიენტი - პირი, რომელიც პაკეტით სარგებლობის მიზნით აფორმებს კომპანიასთან ხელშეკრულებას;
 - 1.1.4. კომპანია - შპს ლოიალ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406321298) ან/და მისი უფლებამონაცვლე;
 - 1.1.5. მომსახურება - პაკეტით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურება, რომელსაც კომპანია უწევს კლიენტს;
 - 1.1.6. მხარე - კომპანია ან კლიენტი, კონტექსტის შესაბამისად;
 - 1.1.7. მხარეები - კომპანია და კლიენტი ერთობლივად;
 - 1.1.8. პაკეტი - იურიდიული მომსახურების პაკეტი „ლოიალ სტარტ“, „ლოიალ სტანდარტ“, „ლოიალ პლიუს“ ან „ლოიალ პრო“, რომლის/რომელთა დეტალური აღწერაც მოცემულია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში;
 - 1.1.9. პაკეტის საფასური - პაკეტით სარგებლობისთვის კლიენტის მიერ კომპანიისთვის გადასახდელი თანხა, რომლის მოცულობაც მითითებულია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში;
 - 1.1.10. საანგარიშო თვე - პერიოდი შესაბამისი თვის კონკრეტული რიცხვიდან მომდევნო თვის იმავე რიცხვის ჩათვლით;
 - 1.1.11. სამუშაო დრო - პერიოდი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე;
 - 1.1.12. სამუშაო დღე - დღე შაბათ-კვირის და კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა;
 - 1.1.13. სტანდარტული პირობები - წინამდებარე სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს;
 - 1.1.14. ხელშეკრულება - იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, სტანდარტული პირობები, მათი ნებისმიერი დანართი, მათში შეტანილი ნებისმიერი სახის ცვლილების/დამატების ჩათვლით.

2. პაკეტით სარგებლობის პირობები

- 2.1. კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს პაკეტით მხოლოდ იმ პირობით, რომ მას სრულად და ჯეროვნად ექნება შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, მიუხედავად აღნიშნული პირობისა, კომპანია არ არის შეზღუდული გაუწიოს კლიენტს პაკეტით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო კლიენტი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს პაკეტის საფასურის გადახდის ვალდებულება. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პერიოდში, კომპანიის მიერ კლიენტისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე ჩერდება პაკეტის მოქმედების ვადა და განახლდება იმ მომენტიდან, როდესაც კლიენტის მიერ აღმოიფხვრება ყველა დარღვევა.
- 2.2. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, პაკეტი ძალაში შედის და მისი მოქმედების ვადა აითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, კლიენტის მიერ პაკეტის საფასურის პირველი ნაწილის გადახდის მომდევნო სამუშაო დღიდან.

- 2.3. კლიენტი უფლებამოსილია **პაკეტით** გათვალისწინებული **მომსახურება** მიიღოს **სამუშაო დროს**. კონკრეტული **მომსახურების** შესრულების ვადა განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, გონივრულობის ფარგლებში.
- 2.4. კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ერთდროულად რამდენიმე **პაკეტით**. რამდენიმე **პაკეტით** სარგებლობის შემთხვევაში კლიენტი თვითონ ირჩევს თუ რომელი **პაკეტის** ფარგლებში სურს მიიღოს ესა თუ ის **მომსახურება**, ხოლო თუ კლიენტი არ განსაზღვრავს აღნიშნულს, გადაწყვეტილებას იღებს **კომპანია**.
- 2.5. **პაკეტით** გათვალისწინებული **მომსახურება** გულისხმობს **მომსახურების** გაწევას მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებშიც საქმიანობს **კომპანია** (**კომპანიის** საქმიანობის სფეროების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ **კომპანიის** ვებ-გვერდზე: www.lawyal.ge). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **პაკეტით** გათვალისწინებული **მომსახურება** არ გულისხმობს **მომსახურების** გაწევას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საგადასახადო ურთიერთობები, ფინანსური ურთიერთობები, ბუღალტრული აღრიცხვა და ა.შ.
- 2.6. **ხელშეკრულების** ფარგლებში **კომპანიის** მიერ გაცემული ნებისმიერი რეკომენდაცია, ანალიზი ან/და დასკვნა მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციის, ანალიზის ან/და დასკვნის მომზადების მომენტში მოქმედი **კანონმდებლობის** საფუძველზე. **კომპანიამ** შესაძლოა **მომსახურების** გაწევის დროს გამოხატოს მისი შეხედულება უცხო ქვეყნის სამართლებრივი რეგულაციების თაობაზე ან/და მათზე დაყრდნობით, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს **კომპანიის** მიერ **მომსახურების** ფარგლებში განხორციელებულ რეკომენდაციას/დასკვნას/ანალიზს და **კლიენტი** არ უნდა დაეყრდნოს მათ. ამასთან, **კომპანიის** პასუხისმგებლობა სრულად გამოირიცხება ნებისმიერი სახის ზიანისთვის, თუ **კლიენტი** აღნიშნული პირობის საწინააღმდეგოდ მაინც დაეყრდნობა შესაბამის რეკომენდაციას, დასკვნას თუ ანალიზს.
- 2.7. **პაკეტით** გათვალისწინებული **მომსახურება** არ გულისხმობს **კომპანიის** მიერ **მომსახურებასთან** პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ხარჯების გაწევას და ასეთი ხარჯები სრულად და დროულად უნდა იქნეს გაწეული **კლიენტის** მიერ. აღნიშნულ ხარჯებში იგულისხმება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სანოტარო მოქმედების საზღაური, თარჯიმნის მომსახურების საფასური, ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურების საფასური და ა.შ.
- 2.8. მიუხედავად **სტანდარტული პირობების 3.7. პუნქტით** გათვალისწინებული პირობისა, იმ შემთხვევაში, თუ **კომპანია**, **კლიენტთან** ზეპირად ან წერილობით შეთანხმებით, გაწევს **კლიენტის** სასარგებლოდ ნებისმიერი სახის ხარჯს, **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიის** მოთხოვნის საფუძველზე, ამავე მოთხოვნით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს **კომპანიას** შესაბამისი ხარჯები. ამასთან, **კომპანია** ვალდებულია წარუდგინოს **კლიენტს** ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. პაკეტის საფასური და გადახდის პირობები

- 3.1. **პაკეტის საფასური** მითითებულია **იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში**.
- 3.2. **კომპანია** არ არის უფლებამოსილი **პაკეტის** მოქმედების ვადის განმავლობაში ცალმხრივად შეცვალოს **პაკეტის საფასური**.
- 3.3. თუ **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, **პაკეტის საფასურის** გადახდა მოხდება ყოველთვიურად. შესაბამისი **საანგარიშო თვისთვის** გათვალისწინებული **პაკეტის საფასურის** გადახდა მოხდება არაუგვიანეს შესაბამისი **საანგარიშო თვის** დაწყებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
- 3.4. თუ **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, **პაკეტის საფასურის** გადახდა მოხდება უნაძლო ანგარიშსწორების გზით, **კომპანიის** საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, რომელიც მითითებულია

იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში. პაკეტის საფასური გადახდილად მიიჩნევა თანხის კომპანიის საბანკო ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

- 3.5. თუ პაკეტის საფასური განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში და კანონმდებლობით უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება დაუშვებელია, მაშინ ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს განზრახ მიყენებული ზიანი (ზარალი).
- 4.2. მხარის გაუფრთხილებელი ქმედებით დამდგარი პირდაპირი ზიანის (ზარალი) მოცულობა შეზღუდულია და შეადგენს ზიანის (ზარალის) დადგომის მომენტისათვის კლიენტის მიერ კომპანიისათვის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი პაკეტის საფასურის ჯამური მოცულობის 20 (ოცი) %-ს. მიუღებელი შემოსავალი და არაპირდაპირი ზიანი (ზარალი) არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
- 4.3. კლიენტის მიერ პაკეტის საფასურის გადახდის ან/და სტანდარტული პირობების 8.3.3.2. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია დააკისროს კლიენტს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 4.4. კომპანია არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ მესამე პირისთვის გადახდილი თანხებისა თუ გაწეული ხარჯების (იგულისხმება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სანოტარო მოქმედების საზღაური, თარჯიმნის მომსახურების საფასური, ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურების საფასური და ა.შ.) ანაზღაურებაზე.

5. განცხადებები და გარანტიები

- 5.1. თითოეული მხარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
- 5.1.1. მათ მოპოვებული აქვთ ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელი ყველა ნებართვა, თანხმობა და მინდობილობა;
- 5.1.2. მათ მიერ ხელშეკრულების, ცვლილების/დამატების ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტის გაფორმების შემთხვევაში (მათ შორის დისტანციურად), შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერა განხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ.
- 5.2. კლიენტისათვის ცნობილია, რომ კომპანია მომსახურების გაწევისას ეყრდნობა კლიენტის მიერ კომპანიისათვის მიწოდებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას, შესაბამისად კლიენტი აცხადებს თანხმობას და იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ კომპანიისათვის მიწოდებული ინფორმაცია სრულყოფილი და უტყუარია და რომ ის სრულყოფილად და თანადროულად მიაწვდის კომპანიას ყველა ინფორმაციას/დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია მომსახურების გაწევისთვის (მათ შორის შესაბამისი გარემოების/ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაშიც). კლიენტის მიერ აღნიშნული პირობის შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე პასუხს აგებს კლიენტი და კომპანიის ნებისმიერი პასუხისმგებლობა სრულად გამოირიცხება.
- 5.3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი მომსახურების გაწევა ხდება მხოლოდ კომპანიის მიერ და მომსახურება არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული კომპანიის დირექტორის, პარტნიორის ან თანამშრომლის მიერ პირადად გაწეულად, მაშინაც კი, როდესაც ეს პირები მომსახურების გაწევისას მოქმედებენ პირადად (მაგ. როგორც ფიზიკური პირები მინდობილობის საფუძველზე და ა.შ.).

6. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

- 6.1. **მხარეები** ვალდებული არიან დაიცვან **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ინფორმაციის მიღებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში;
- 6.2. კონფიდენციალურად არ ითვლება ინფორმაცია:
 - 6.2.1. რომელიც **მხარეთათვის** ცნობილი იყო **ხელშეკრულების** დადებამდე;
 - 6.2.2. რომელთა მოპოვება შესაძლებელია საჯარო წყაროებიდან ან/და რომელიც **მხარისათვის** ცნობილი გახდა მესამე პირისაგან;
 - 6.2.3. რომელთა გამჟღავნება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის მიზნით.
- 6.3. **კომპანია** უფლებამოსილია **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, თუკი აღნიშნული ემსახურება **მომსახურების** გაწევას.
- 6.4. **კომპანია** უფლებამოსილია მარკეტინგული მიზნებისთვის გაამჟღავნოს ინფორმაცია **ხელშეკრულების** ფარგლებში **მხარეთა** შორის თანამშრომლობის თაობაზე და გაწეული **მომსახურების** ზოგადი შინაარსი, ასევე აღნიშნული მიზნით გამოიყენოს **კლიენტის** დასახელება და მარკეტინგული მასალა (მაგ. ლოგო, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი და ა.შ.). ამასთან, **მომსახურების** კონკრეტული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მათზე სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** ფარგლებში კონფიდენციალურობის ვალდებულება.

7. კომუნიკაცია

- 7.1. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ზეპირად, წერილობით (საკურიერო მომსახურების გამოყენებით) ან ელ. ფოსტის მეშვეობით, **იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში** მითითებულ საკორესპონდენტო მისამართებზე.
- 7.2. საკურიერო მომსახურების გამოყენებით გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება კურიერის მიერ შეტყობინების ჩაბარების დადასტურების დღეს.
- 7.3. ელ. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება შეტყობინების გაგზავნის მომდევნო **სამუშაო დღეს**.
- 7.4. თითოეული **მხარე** ვალდებულია საკორესპონდენტო მისამართების ცვლილების შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე **მხარეს**. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება მიიჩნევა ჩაბარებულად.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტა

- 8.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ **იურიდიულ მომსახურების ხელშეკრულებაზე** ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.
- 8.2. **ხელშეკრულების** შეწყვეტა დასაშვებია **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით.
- 8.3. **კომპანია** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება კლიენტისათვის** გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, თუ:
 - 8.3.1. **კლიენტი** არღვევს **პაკეტის საფასურის** გადახდის ვალდებულებას და უშედეგოდ გავა **კომპანიის** მიერ დაწესებული 15 (თხუთმეტი) დღიანი დამატებითი ვადა;
 - 8.3.2. **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების ვადის განმავლობაში 3-ჯერ დაარღვევს **პაკეტის საფასურის** გადახდის ვალდებულებას;
 - 8.3.3. **კლიენტი** არღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ სხვა არსებით ვალდებულებას.
- 8.4. **კლიენტი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება**:

- 8.4.1. კომპანიისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, თუ კომპანია არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და უშედეგოდ გავა კომპანიისთვის დაწესებული 15 (თხუთმეტი) დღიანი დამატებითი ვადა;
- 8.4.2. კომპანიისათვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.
- 8.5. კლიენტის მიერ ხელშეკრულების 8.4.2. ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში ან კომპანიის მიერ ხელშეკრულების 8.3. პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში:
- 8.5.1. კომპანია არ დაუბრუნებს კლიენტს ავანსად გადახდილ ჰაკეტის საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც ჩაითვლება 8.4.2. პუნქტით გადასახდელი თანხის ანგარიშში.
- 8.5.2. კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას: ა) ჰაკეტით სარგებლობის ფაქტობრივი პერიოდის შესაბამისი ჰაკეტის საფასური; და ბ) ჰაკეტის მოქმედების დარჩენილი პერიოდისათვის გათვალისწინებული ჰაკეტის საფასურის ჯამური მოცულობის 30 (ოცდაათი) %.
- 8.6. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან კომპანია წყვეტს ჰაკეტით გათვალისწინებული ყველა მომსახურების გაწევას, მათ შორის იმ მომსახურების, რომელზე მუშაობაც დაწყებული იყო ჰაკეტის მოქმედების პერიოდში.

9. ხელშეკრულების დადება, ცვლილები და დამატებები

- 9.1. ხელშეკრულება იდება მატერიალურ დოკუმენტზე მხარეთა ხელმოწერით.
- 9.2. ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს:
- 9.2.1. ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.
- 9.2.2. მხარეთა მიერ ხელმოწერილი მატერიალური დოკუმენტის ასლის ელ. ფოსტის მეშვეობით გაცვლით.
- 9.3. სტანდარტული პირობების 9.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ხელშეკრულებაზე ბოლო ხელმოწერის განხორციელებისა და შესაბამისი მხარისათვის ელ. ფოსტის მეშვეობით მიწოდების მომენტიდან.
- 9.4. ხელშეკრულების ცვლილებაზე/დამატებაზე ვრცელდება ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მოქმედი პირობები. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ფორმით, მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით დაიდო ხელშეკრულება თავდაპირველად.

10. პრეტენზიები და დავები

- 10.1. კლიენტი ვალდებულია გონივრულ ვადაში შეამოწმოს კომპანიისგან მიღებული მომსახურება და გონივრულ ვადაშივე, მაგრამ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, წარუდგინოს კომპანიას მომსახურებასთან დაკავშირებული პრეტენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პრეტენზიის წარუდგენლობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ კომპანიის მიერ შესაბამისი მომსახურება სრულად და ჯეროვნად არის შესრულებული და კლიენტი არ არის უფლებამოსილი აღნიშნულთან დაკავშირებით წაუყენოს კომპანიას რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნა.
- 10.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

11. სხვა პირობები

- 11.1. კომპანია უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადააკისროს ქვეკონტრაქტორს, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად იქნება პასუხისმგებელი ქვეკონტრაქტორის ქმედებებზე.

- 11.2. კომპანია უფლებამოსილია გაუწიოს კლიენტს რეკომენდაცია მესამე პირებისგან გარკვეული მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, ამასთან კომპანია არ აგებს პასუხს მესამე პირების ქმედებებზე და კლიენტისთვის დამდგარ ნებისმიერ ზიანზე (ზარალზე).
- 11.3. ხელშეკრულება რეგულირდება კანონმდებლობით, ნებისმიერი პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.
- 11.4. მატერიალური ფორმით დადებული ხელშეკრულება იდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იმდენ იდენტურ ეგზემპლარად რამდენი მხარეცაა ხელშეკრულებაში. ელექტრონული ხელმოწერით დადებული ხელშეკრულების (ელექტრონული დოკუმენტის) ნებისმიერი ეგზემპლარი წარმოადგენს დედანს და მის ყველა ასლს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
- 11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთდროულად ქართულ და უცხოურ ენაზეც, რა შემთხვევაშიც ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს ენიჭება უპირატესობა.

12. მხარეთა ხელმოწერები

კომპანიის ხელმოწერა

/_____/

კლიენტის ხელმოწერა

/_____/